საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№88 (6314) სამშაბათი, 24 ივლისი 1990 წელი ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20-ტონა აბრეშუმის პარკისათვის
ლაჯანელთა სიტყვა [illegible]

დღეს, როცა ყველა ქართველის ოცნება დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

მიუხედავად საკვები ბაზით გამოწვეული სიძნელეებისა, იბეჯითეს ლაჯანელმა მეაბრეშუმეებმა და მიცემული დავალების შესრულება მაინც შეძლეს. არის წლიური გეგმა—2512 კილოგრამი აბრეშუმის ხარისხიანი პარკი, დაგეგმილი 2358-ის ნაცვლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მზია ვაქას ასული ბურჯალიანის თავდადებული შრომა, რომელმაც 52 გრამი მური გამოკვება და ქვეყნის დოვლათს 184,3 კილოგრამი აბრეშუმის პარკი შემატა.

კარგი მოსავალი მიიღეს მეაბრეშუმეებმა რაისა აბაშიძემ, ლეილა დავითულიანმა, ცარო სილაგაძემ, ნარგიზა ყურაშვილმა, ინეზა, ნანი ახვლედიანებმა და მრავალმა სხვამ.

კომბინატში სეზონისათვის მზადებაა

მიმდინარე სამეურნეო წელს დიდი ამოცანების წინაშეა სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივი. სულ უნდა ვაწარმოოთ და გამოვუშვათ 1459 ათასი მანეთის პროდუქცია, რისთვისაც მიმდინარე სეზონზე უნდა მივიღოთ და გადავამუშაოთ 2300 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი. სეზონისათვის მზადების წინ შეკეთდა და გარემონტდა მანქანა-დანადგარები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საამქროების და მოწყობილობების წესრიგში მოყვანა.

აღსანიშნავია ის, რომ თავისი არსებობის მანძილზე კომბინატი წელს პირველად გამოუშვებს ისეთი დიდი მოთხოვნილების პროდუქციას, როგორიცაა ხილის კომპოტები, მურაბები, უკვე გადაწყდა და არის ნებართვა იმისა, რომ მიმდინარე წელს აღდგენილ იქნას ხილის სპირტის გამოსახდელი დანადგარები. როგორც გეგმური, ისე ზეგეგმითი რაოდენობის ზემოთდასახელებული პროდუქტების გამოშვებით კომბინატმა უნდა მიიღოს მოგება, რაც ხელს შეუწყობს იმ ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევაში, რასაც ამჟამად განიცდის.

მიუხედავად ჩვენს მიერ არაერთგზის გატარებული ღონისძიებებისა, მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზი გვაქვს. მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ შესაძლებლობებს, შრომითს რესურსებს, ამიტომ ჩვენი, სპეციალისტების ამოცანაა იმ პრობლემების უსწრაფესად გადაწყვეტა, რომელიც ამჟამად გაგვაჩნია. ისე კი ახლანდელი მუშაობის ტემპით წინ ვერ წავალთ, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო თითოეული ჩვენგანისაგან.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს კურკოვან და თესლოვან ხილზე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სახელმწიფო შესყიდვის ფასები. ეს პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს როგორც დამამზადებელ, ასევე გადამამუშავებელ ორგანიზაციებს. გადამუშავებისათვის უსათუოდ მიღებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიანი, სტანდარტული ხილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად კომბინატი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. სიძნელეებიდან თავის დასაღწევად გაერთიანება „საქკოოპაგროკვებმრეწვის“ მიერ მიღებულია სასურსათო კომბინატის განვითარების 1990-1995 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამა, რომლის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა დამონტაჟებულიყო ხილის კომპოტებისა და მურაბების გამოსაშვები ხაზები, რაც უკვე გაკეთებულია. ამჟამად მიმდინარეობს ხილის სპირტის გამოსახდელი დანადგარების წესრიგში მოყვანა. წელს დაიწყება და მომავალ წელს დამთავრდება ხილფაფებისა და ჯემების გამოსაშვები მოწყობილობის დამონტაჟება. წელს ექსპლოატაციაში უნდა გადაეცეს ახალი უალკოჰოლო სასმელების საამქრო. შემუშავებული პროგრამით გათვალისწინებულია ასევე კომბინატთან მოეწყოს რაიონში არსებული უნიკალური შავი ყურძნის ჯიშების გადამამუშავებელი საამქრო, რომლის წარმადობა 500 ტონა ყურძნის გადამუშავება იქნება.

ამ ღონისძიებების დროული გატარებით კომბინატი შეძლებს უახლოეს პერიოდში თავი დააღწიოს ფინანსურ სიძნელეებს.

მიმდინარე წელს განახლდა კომბინატის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები, მაგრამ აქვე გულისტკივილით უნდა ითქვას, ჯერ ერთი რომ ძალზე გაჭიანურდა მშენებლობა, ამას ემატება ისიც, რომ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს მისი განახლების სამუშაოები, უჩივიან სამშენებლო მასალების ნაკლებობას, ცდება მუშახელი, არადა დრო მიდის, მეტ პასუხისმგებლობას მოვითხოვთ მშენებელი ორგანიზაციებისაგან.

კიდევ მთელი რიგი პრობლემებია კომბინატის მუშაობაში. სეზონი დადგა და რუსეთიდან ვერ ვღებულობთ მინის ქილებს.

დიდი გულისტკივილით უნდა ითქვას, ისიც რომ აღნიშნული სასურსათო კომბინატი ცაგერში 1960 წლიდან ფუნქციონირებს, ამ ხნის მანძილზე არა გვყავს საკუთარი ტრანსპორტი, რის გამოც გვიხდება დაქირავებული ტრანსპორტით სარგებლობა, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კომბინატის ხელმძღვანელობა გრძნობს რა ქვეყნისა და რესპუბლიკის ეკონომიკურ სიძნელეებს, შექმნილი სიტუაციის სირთულეს, პასუხისმგებლობის ამაღლებითა და დაძაბული მუშაობით შევძლებთ გამოვიდეთ სიძნელეებიდან და სამეურნეო წელი უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავროთ.

შ. კუხალაშვილი,
სასურსათო კომბინატის დირექტორი.

სკკპ XXVIII ყრილობის ექო

ისევ ზოგადი ფრაზები

სავსებით ბუნებრივია, რომ ახლადდამთავრებული სკკპ 28-ე ყრილობის შემდეგ მსჯელობა და აზრთა გაზიარება ისევ გრძელდება. ჩემი აზრი კი ყრილობის ირგვლივ ასეთია—ველოდი და მესახებოდა, რომ ყრილობა მართლაც დემოკრატიული იქნებოდა და ყოველგვარი მოჩვენებითობისა და ფორმალიზმის გარეშე ჩატარდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კერძოდ, თვით გენერალური მდივნის, მისი მოადგილისა და პოლიტბიუროს წევრების არჩევა აშკარა ფორმალიზმითა და სუბიექტური აზრის გათვალისწინებით ხასიათდებოდა.

კვლავ გაძლიერდა საპრეზიდენტო საბჭო, მის შემადგენლობაში თავმოყრილია ისევ ერთი მიმართულების მქონე შემადგენლობა, რომელიც თავისი ინტელექტუალიზმით ძლიერია.

ყოველივე აქედან და კიდევ სხვა ასპექტებიდან გამომდინარე დასკვნა ასეთია, რომ პარტია წარმმართველი ძალა აღარ იქნება.

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკიდან წარგზავნილმა დელეგატებმა, მართალია, სწორი არჩევანი გააკეთეს და მხარი დაუჭირეს ცენტრის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს იმიტომაც მოხდა, რომ ყრილობაზე მოსალოდნელი იყო კონსერვატორული ძალების გამარჯვება, მხედველობაში მაქვს ლიგაჩოვი და მისი მომხრეები. მაგრამ მიმაჩნია, რომ კონსერვატორების დამარცხება, გორბაჩოვის მომხრეთა გამარჯვება გარკვეულწილად ედუარდ შევარდნაძის უაღრესად ჭკვიანურმა, დიპლომატიურმა და ღრმაშინაარსიანმა გამოსვლამ უფრო განაპირობა.

მართალია, ჩვენი დელეგატების უმრავლესობას მიაჩნია, რომ დიდი საქმე გააკეთეს რესპუბლიკის კომპარტიათა დამოუკიდებლობის გზაზე, როცა 22-ე მუხლი იგივე რედაქციით დატოვეს, მაგრამ ჩემი აზრით პოლიტბიუროს შემადგენლობაში რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტის მდივნების და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის შეყვანა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გზის ჩახშობის ეშმაკურ ნაბიჯს უფრო გავს, ვიდრე დიდი მიზნის მიღწევისაკენ გზის გახსნას.

რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს, რაზეც ყრილობაზე იყო მსჯელობა, ისევ ზოგადად და არაფრისმთქმელად აღინიშნა ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განათლების, კულტურისა თუ ჯანმრთელობის სფეროს შესახებ. სწორედ ასეთმა ზოგადმა და არაკონკრეტულმა დებულებებმა მიგვიყვანა იმ ცუდ შედეგებამდე, რასაც დღეს განათლების სფეროში ვიმკით. ისევ მწვავედ დგას მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესების საკითხი. ყოველგვარი პომპეზურობისა თუ მოჩვენებითობის გარეშე სხვაგან უდიდდებათ ხელფასები, მასწავლებელთა საგანმკვეთო თუ შრომითი ანაზღაურების საკითხი კი არადა არ უმჯობესდება.

დ. კოპალიანი,
სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ჩვენი დღეების ადამიანები

●

წლები ცოტას ნიშნავს

სამოც წელს გადაცილებული კაცია ორბელელი ჭიჭიკო გზობავა და თითქოს მის ასაკთან დაუჯერებელიც კია მისი ენერგია, შრომისუნარიანობა და საქმისადმი შემართება.

გაზაფხულია და არავინ იფიქროს, რომ მასზე ადრე ვინმემ გასხლას, ააშენოს ვაზი, ანდა თესლი მიაბაროს მიწას, შესაწამლია და პირველად მისი ზვარი გადალურჯდება ბორდოს სითხით. სასიმინდე ყანაა და ვერც მის გათოხნას და მოვლას მოასწრებს ვინმე, მოსავლის აღებისას პირველი გადის ზვარშიც და ყანაშიც. სიამოვნებით შეავლებს ნაშრომს, დაკოჟრილ ხელს მისი შრომით მოწეულ მოსავალს. მოსწონს საიჯარო შრომა და ახალგაზრდობის დაბრუნებას ნატრობს. ოჯახის წევრები—მეუღლეც და შვილებიც ეშველებიან საქმეში, მაგრამ უფრო მეტად თვითონ სიამოვნებს მისი მოვლა და ადვილად ვერავის ანდობს ვაზს ქართველთა მოდგმისთვის სათაყვანებელ მცენარეს. ახლა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი საქმეში ჩახედული, გონიერი და წინგახედული ადამიანებისგან ხშირად გაიგონებთ—დღეს თითოეული ჩვენგანი იმას უნდა ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება იმ საქმეს ჩასჭიდოს ხელი, რაც ჩვენია, ეროვნულია და ძველთაგან მოგვდგამს, სწორედ ჩვენმა ვაზმა, ჩვენებურმა ოჯალეშის, ცოლიკაურის ჯიშის ყურძნის მოსავალმა უნდა გაგვითქვას სახელი. ამიტომაა, რომ ეს ჭარმაგი კაცი ასე მონდომებით ტრიალებს ზვარში.

საუკეთესო მოვლილი აქვს იჯარით აღებული 0,2 ჰექტარი ზვარი, ვიდრე ყვავილობაში შევიდოდა ორჯერ შეწამლა, ახლა კი ყვავილობიდან გამოსულს მესამე წამალიც მიაშველა. საზრუნავით დატვირთულია მისთვის ყოველი დღე. 0,4 ჰექტარი იჯარით გაპიროვნებული სასიმინდე ყანა გათოხნილიც აქვს და სასუქითაც განოყიერებული. საკარმიდამო მეურნეობაც ძლიერი აქვს ჭიჭიკო გზობავას.

ჯ. მანდარია.

სკოლების მშენებლობას, რემონტს— საერთო გულისყური!

საძირკველს ვერ ასცდნენ

მოსწავლე -ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ქალაქის ცენტრში არსებული ერთად ერთი საშუალო სკოლა ელემენტარულადაც ვერ აკმაყოფილებს არამც თუ საბაზო სკოლის, არამედ, საერთოდ, საშუალო სკოლის მოთხოვნებს. სკოლას არ აქვს საკმაო ფართის ოთახები, კლას-კაბინეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოების, კულტმასობრივი და სპორტული მუშაობის, სხვადასხვა წრეების სამუშაო ოთახები, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი, კანალიზაცია და სხვა კომუნიკაციები.

სკოლის ვიწრო და ამორტიზებული ოთახები არ იძლევა სწავლა-აღზრდის პროცესის ნორმალურად, წარმართვის. საშუალებას.

განათლების განყოფილებამ (გამგე დ. კოპალიანი) საფუძვლიანი დასაბუთება მისცა განათლების სამინისტროს ქალაქ ცაგერში ახალი, თანამედროვე ტიპის სკოლის აშენების აუცილებლობის თაობაზე და დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ცაგერში ახალი სკოლის მშენებლობის შესახებ.

სკოლის შენობა დაპროექტდა 864 ბავშვზე. მშენებლობა დაჯდება 1 მილიონ 180 ათასი მანეთი. აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 970 ათასი მანეთი.

შენობა გეგმით 1991 წელს უნდა გავიდეს ექსპლოატაციაში.

განათლების სამინისტრომ სკოლის მშენებლობა გადასცა სამტრედიის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს (უფროსი რ. გოგოლაძე, ტექნიკური ზედამხედველი რ. გვიდიანი). სამმართველომ სკოლის მშენებლობა დაუკვეთა ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციას (უფროსი ს. თვარაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ზ. ახვლედიანი).

პროექტის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ რთული შენობაა, სკოლა იქნება ოთხსართულიანი, 69 ოთახით. პირველ სართულზე მოთავსდება სარდაფი, სადაც იქნება კულტმასობრივი, სპორტული მუშაობის ოთახები, მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე იქნება დაწყებითი კლასების საკლასო ოთახები, კლას-კაბინეტები, ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიის კაბინეტ-ლაბორატორიები, რადიოკვანძი, ფოტოლაბორატორია, სახელოსნოები, მუსიკისა და სიმღერის დარბაზი, კინოს საჩვენებელი ოთახი, სააქტო დარბაზი, პროფორიენტაციის კაბინეტი, ბუნების მოყვარულთა ოთახი, ქსოვილების დამუშავების და კულინარიის კაბინეტები, კეთილმოწყობილი კვების ბლოკი და სხვ. სკოლას ექნება ცენტრალური გათბობა, კანალიზაცია.

ასეთი რთული ნაგებობის მშენებლობა გასული წლის ბოლო თვეებში დაიწყეს, ბუნებრივია, ამ სკოლის მშენებლობა მთელი რაიონისათვის, მისი მომავლისათვის საშური საქმეა. ამიტომ მშენებლობას ვეწვიეთ 18 ივლისს განათლების განყოფილების გამგესთან ამხ. დ. კოპალიანთან ერთად. უნდა შეულამაზებლად ვთქვათ, რომ მოლოდინი არ გაგვიმართლდა, მშენებლობა სავალალო მდგომარეობაში დაგვიხვდა.

იმ მომენტში ამ გიგანტურ მშენებლობაზე ერთი ბელარუსის სისტემის მტვირთავი და ერთი თვითმცლელი მანქანა მუშაობდა. შევხვდით სამუშაოს მწარმოებელს ზ. ახვლედიანს და 5 მუშას. წელს სკოლის მშენებლობაზე უნდა შესრულდეს 165 ათასი მანეთის სამუშაო. დღეისათვის შესრულებული აქვთ მხოლოდ 30 ათასი მანეთის. სკოლა შენდება 5 ბლოკად, აქედან 3 ბლოკის საძირკველი დასრულებულია და ამჟამად მეოთხე ბლოკის საძირკველზე მუშაობენ. მასალების, კერძოდ, ბეტონის ბლოკების და სინკარების უქონლობის გამო საძირკველის მოწყობის პარალელურად სხვა სამუშაოები, [illegible] ოლის აშენება არ მიმდინარეობს.

სკოლის [illegible] ბლოკებით და სინკარებით უნდა ამარა[illegible] [illegible] რედიისა და ცაგერის რკინა-ბეტონის ქარხნები, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ცალი არ მიუღიათ. ამის გამო სამუშაოების კომპლექსურად წარმოება, ერთმანეთის მიმდევრობით საძირკვლის მომზადება, ცოკოლის მოწყობა, სინკარების წყობა, კედლების მშენებლობა და სხვა შეჩერებულია, მშენებლობის ასეთი ტემპით გაგრძელება დამაფიქრებელია. თუ რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსაკოლმეურმშენის" რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ტრესტმა (მმართველი ჩაჩუა) არ მიიღო გადამჭრელი ზომები მშენებლობის მასალებით მომარაგებისათვის, მშენებლობა შეფერხდება, მისი ექსპლოატაციაში გაშვება არა თუ 1991 წელს, 1992 წელსაც საეჭვო იქნება.

საჭიროა სკოლის მშენებლობა კონტროლზე აიყვანოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სპეციალურმა შტაბმა.

ცაგერის საშუალო სკოლის მშენებლობა დამკვრელურად უნდა გამოვაცხადოთ,

ვლ. დავითულიანი.

ვის გსურთ უკვდავების წყალი?

გახსოვთ ალბათ ქართული ზღაპარი, როგორ გააგზავნის ვაჟერის სიყვარულით დაისრული აბესალომი მურმანს უკვდავების წყლის მოსატანად, როგორ მიაგნებს მურმანი წყაროს და მოუტანს მბრძანებელს, მაგრამ ისიც მკვდარი დახვდება და თავისი ცოლიც. არ ვიცი, რა დამსახურებისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა და ისე გაგვიმრავლა ამგვარი წყაროები, რომ თუ ძალად არ დავახანებთ, მომაკვდავ აბესალომს სულზე მაინც უნდა მივუსწროთ. მარტო ლეჩხუმში რამდენიმე ასეთი წყაროა, თუნდაც ლაშიჭალისა და ძულურის მინერალური წყლები რად ღირს. ეს წყაროები მთელი რესპუბლიკის მასშტაბითაა ცნობილი საუკეთესო სამკურნალო თვისებებით, მრავალი სახის დაავადებას რომ შველის. ექიმები ხშირად უნიშნავენ ავადმყოფებს ამ წყლებით მკურნალობას, ზოგჯერ პრეპარატების ნაცვლადაც კი და საუკეთესო შედეგებს აღწევენ. რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, გასტრიტების, კოლიტის, დიაბეტის დროს—რით არაა უკვდავების წყარო?

რამდენიმე თვეა ცაგერის საწარმოო მასალათა კომბინატში ამუშავდა მინერალური წყლების ჩამომსხმელი საამქრო. ეს იდეა კარგა ხანია ჩაისახა, მაგრამ წარმოების ორგანიზებას დიდი დრო დასჭირდა. მკითხველს არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში ამგვარი საქმის წამოწყება, რამდენი ბიუროკრატიული საფეხური უნდა გაიაროს კარგმა იდეამ, რომ საქმედ განხორციელდეს. ასეა თუ ისე, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ხაზი დამონტაჟდა და საამქრომ მუშაობა დაიწყო. ეს, რა თქმა უნდა, ერთიანი ტექნოლოგიური ხაზი არ არის, მანქანა-აპარატები საიდან არ მოძიეს, ზოგი აპარატი ძველია, ნახმარი. ამიტომ მისი ექსპლოატაცია დამატებით სიძნელეებთანაა დაკავშირებული. დღემდე ვერც მოახერხეს ბოთლების სარეცხი მანქანის გამართვა და მათ ხელით რეცხავენ სოდიან წყალში. ამისათვის დამატებით მუშების დაქირავება გახდა საჭირო. აი, რეცხვის ხარისხს კი მანქანა ამოწმებს.

—პრობლემა ბევრი გვაქვს,— გვეუბნება საამქროს უფროსი რუსუდან ახვლედიანი,—სანახევროდაც ვერ ვტვირთავთ ტექნოლოგიურ ხაზს, ვერ ვითვისებთ სიმძლავრეს. ამას პირველ რიგში წყლის მცირე დებეტი განაპირობებს, რასაც ემატება მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სიძნელენი და სხვა პრობლემები.

საამქროს ლაბორატორიაში ყოველდღიურად მოწმდება წყლის შედგენილობა, მაგრამ აქაც უჭირთ, განიცდიან რეაქტივების უკმარისობას, ვერ ისინჯება ქლორისა და ორვალენტიანი რკინის შემცველობა. მათს დასადგენად იძულებული არიან სხვაგან წაიღონ წყალი.

ამ სასიკეთო საქმეს მხარდაჭერა და დახმარება სჭირდებოდა ხელმძღვანელობისაგან, სინამდვილეში კი როგორ მოხდა? როცა პროდუქციის რეალიზაციაზე ჩამოვარდა სიტყვა, რაიონის ხელმძღვანელებმა ასეთი რჩევა მისცეს: ჯერ ჩვენი მოსახლეობა დავაკმაყოფილოთ და სხვაგან გაყიდვაზე მერე ვიფიქროთო. სამწუხაროდ, ამ სიტყვებს საქმე არ მოჰყოლია. ქალბატონმა რუსუდანმა შეგვიყვანა მზა პროდუქციის საწყობში და გვანახა უამრავი ყუთი. 20 ათასზე მეტი ბოთლით, რომლებიც აქ უკვე ორი კვირაა ელაგა. საწყობი ისე იყო სავსე, რომ სინათლის ასანთებად ჯოხის გამოყენება დასჭირდათ. რაიკოოპერატივს არ მიაქვს თავის მაღაზიებში ეს ძვირფასი წყალი, საკუთარი მაღაზია კი ჯერჯერობით საამქროს არა აქვს, ფიქრობენ პატარა პავილიონის დადგმას იქვე, საამქროს ტერიტორიაზე, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ამ საქმის მოგვარებას დრო სჭირდება და მეორეც, საამქრო ქალაქის განაპირას დგას და ყველა ვერ მოახერხებს აქ ჩამოსვლას. არადა ხალხის მოთხოვნილება ამ წყალზე დიდია. ქალაქის ე. წ. თევზის მაღაზიაში მოტანილი 1500 ბოთლი „ლაშიჭალა" ორიოდე დღეში გაიყიდა, პირდაპირ დაიტაცა ხალხმა მაშინ, როცა იმავე ხანებში შემოტანილი „ბორჯომი" დიდხანს ელაგა მაღაზიის თაროებზე. სხვათაშორის, სპეციალურად აჭამნიკებდა კიდეც ხალხი ამ ორი მინერალური წყლის ღირსებებს და უპირატესობას „ლაშიჭალას" ანიჭებდა.

მიუხედავად ამისა, „ლაშიჭალას" ვერ იხილავთ ქალაქის მაღაზიებში. საამქროს ხელმძღვანელობა დიდხანს ელოდა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მერე კი იძულებული გახდა სხვაგან გაეყიდა წყალი. „ლაშიჭალა" ახლა წყალტუბოში მიდის, მალე კი რუსეთშიც გაგზავნიან. საამქროს ხელმძღვანელობამ სხვა გამოსავალი ვერ ნახა, არადა პროდუქციის დროული გასაღების გარეშე ნებისმიერი წარმოება გაკოტრდება. იმის გამო, რომ თანხა არ ჰქონდათ, შარშან თვეების განმავლობაში ვერ მისცეს ხელფასი მუშაკებს.

ახლა საამქროში „ლაშიჭალას" ასხამენ. მალე „ძულურის" ჩამოსხმაც დაიწყება. მომხმარებელს კი ალბათ არ უნდა ჰქონდეს ჩვენს მაღაზიებში მისი გამოჩენის იმედი, რას ვიზამთ. ვისაც უკვდავების წყალი სურს, მანძილს არ უნდა დაერიდოს. მივიდეს საამქროში და იქნებ იქ მაინც მიყიდონ იგი.

ავტორისაგან: წერილი უკვე მზად იყო, როცა გვაცნობეს, რომ მინერალური წყლის გასაყიდი ჯიხური უკვე დგას საამქროსთან და ემსახურება მომხმარებელს. ერთ ბოთლი „ლაშიჭალა" 20 კაპიკი ღირს.

შეგარგოთ!

ია ხმელიძე.



✻ ✻

წელს ბევრი რამ შეემატა პანსიონატ „ლაშიჭალას" დამსვენებელთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესების მიზნით. მათ სამსახურში ჩადგა №1 წყაროს კეთილმოწყობილი ბიუეტი, (სურათზე). ის ამავე დროს ამშვენებს კურორტის საერთო იერსახეს.

ზ. გზობავას ფოტო.

✻ ✻

ბედი ჯარისკაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს მაწუხებდა ერთი ქართველი ჯარისკაცის ბედი, მისი უცნობი თავგადასავალი. ვერა და ვერ მივაგენი სამართლის დასაბგენად სანდო გზას, საიდუმლოს გასახსნელად საჭირო მიმართულებას. და აი, წელს, გაზაფხულზე, მოულოდნელად ერთმა სასიამოვნო შემთხვევამ კვლავ გამახსენა ძველი საძიებელი და საფიქრალი...

აპრილის პირველ რიცხვებში, მცირე ხნით, შემოქმედებით მივლინებაში გაემგზავრა ვენაში ჩემი შვილი, კინორეჟისორი... ძიების კვალ სწორედ იქით მიდიოდა და ჩემდათავად ერთი პატარა, პროფესიული დავალება მაეცი ვენაში მიმავალს: იქნებ, გაეგო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, უცნობი ავსტრიელი მოჭალაქის—ანტონ შერგხოფერის ვინაობა და მასთან კავშირში ზოგი რამ დაეზუსტებინა სამამულო ომის მონაწილე, ჩვენებური ჯარისკაცის ასკალიონ კოპალიანის შესახებ.

წინასწარ ვიცოდი, რომ ისინი ომის დროს, უჩვეულო ვითარებაში ყირიმში, ფრონტზე შეხვდნენ ერთმანეთს, იქვე უცნაურ სიტუაციაში გაეცნენ ერთმანეთს, თავიანთი ადამიანური თვისებები, ხასიათი, მისწრაფებანი გამოამჟღავნეს და ორი წლის შემდეგ, 1944 წლის მარტში, პოლონეთის ტერიტორიაზე, ტიზენიტცა-სტანისლაურთან გაურკვეველ ვითარებაში დასცილდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ მიუხედავად არაერთი ცდისა, მათი ამბავი ბოლომდე ვერ გაირკვა და ჯარისკაცის ბედის ძიება კვლავაც დღის წესრიგში რჩებოდა...

...მიუხედავად მორიგი ცდისა, დროის უკმარისობის გამო, ჩემი ახალი თხოვნა თითქოს კვლავ შეუსრულებელი აღმოჩნდა... თუმცა დანაბარები ვენაში ერთი კეთილმოსურნე, გულშემატკივარი ადამიანისათვის გადაეცა, თხოვნით—საკითხის გარკვევა-დაზუსტებაში დახმარება აღმოჩინა... და მალე, გულმოდგინედ, უჩვეულო ოპერატიულობით იმ მზრუნველმა კეთილმა ადამიანმა, „ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების“ მრჩეველმა, ქალბატონმა ელიზაბეტ სკახმა 1990 წლის 16 აპრილის თარიღით დაწერილი, საინტერესო და საყურადღებო ბარათი გამოგვიგზავნა თბილისში, ოჯახში.

აი, ეს საგულისხმო წერილი, ჩვენი მკითხველის გასაცნობად წარმოგვიდგენია, გაიცანით რა წერია მასში...

„ვენა, 16 აპრილი, 1990.

პატივცემულო ბატონო ოთარ!

იმედი მაქვს, რომ თქვენ მშვიდობით დაბრუნდით სახლში და ოჯახში ყველაფერი რიგზეა.

მივიღე თქვენი ბარათი იმ ადამიანის მისამართით, გავიგე მისი ტელეფონი.

ვესაუბრე ტელეფონით ანტონ შერგხოფერის ქალიშვილს, თავად იგი 5 წლის წინათ გარდაცვლილა. ანტონი ძალიან ცდილობდა დაკავშირებოდა ბატონ კოპალიანს, მაგრამ წარუმატებლად, როგორც მისმა ქალიშვილმა მითხრა, ბატონი კოპალიანი ანტონის ძალზე კარგი მეგობარი ყოფილა.

მან მითხრა, რომ ძალზე მოხარული იქნება მიეღო ბარათი, ისიც თქვა, რომ ჰყავს ნაცნობი, რომელმაც ჩინებულად იცის რუსული...

პატივცემულო ბატონო ოთარ! თუ თქვენ გაქვთ რაიმე სურვილი ან დავალება ავსტრიაში, მომწერეთ.

გისურვებთ თქვენ შემდგომ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. გულითადი სალამი დაუსწრებლად ჩემი ქმრისგანაც. პატივისცემით ელიზაბეტ სკახ“.

მაინც რაში იყო საქმე, რატომ ვეძებდით იმ უცნობ ავსტრიელს, რატომ შევაწუხეთ ავსტრიელი მანდილოსანი? —უთუოდ იკითხავს დაინტერესებული მკითხველი. ამაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭირო იქნება მოკლედ გავარკვიოთ: მაინც ვინ იყვნენ ის ავსტრიელი ანტონ შერგხოფერი და ქართველი ასკალიონ კოპალიანი, რა აკავშირებდათ ომის დროს მათ ერთმანეთთან, რას ფიქრობდნენ, რაზე ბჭობდნენ ისინი ომში, რა ადამიანური ნიშან-თვისებები, მორალი გამოამჟღავნეს იმ სასტიკი ომის მკაცრ და ულმობელ ვითარებაში, როცა ადამიანი, მტერი იყო თუ მოყვარე, სიკვდილს თვალებში შესცქეროდა და ხვალინდელ დღეზე ოცნებაც გამორიცხული ჩანდა...

ვინ იყო ასკალიონ კოპალიანი?

ამ კითხვაზე ორიგინალური, თავისებური, დღემდე უცნობი ამბებია მოთხრობილი მოხუცი ავსტრიელის მიერ 1982 წელს დაწერილ ვრცელ და საქართველოში გამოგზავნილ წერილში (დროზე არავინ გამოეხმაურა, არც უპასუხეს მას...) და თავისებური პასუხიცაა გაცემული ძნელბედობის დროინდელ ცხოვრებისეულ კითხვებზე, მამულიშვილურ, ადამიანურ ღირსებაზე.

აი, ეს წერილიც, მთლიანად და უცვლელად წარმოდგენილი, რომელიც ბევრს, დღემდე უთქმელს გვიამბობს ამ ადამიანთა პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებზე, გვიყვება უშუალოდ, ბუნებრივად და დამაჯერებლად...

მოდით, ერთად გავეცნოთ, წავიკითხოთ ეს ბარათი და ერთად შევაფასოთ, განვსაჯოთ მისი არსი.

„საქართველოს სსრ, ცაგერის რაიონი, სოფელი ზარაგულა, სოფლის საბჭოს. პატივცემულო ამხანაგებო!

თქვენ გწერთ ავსტრიის მოქალაქე ანტონ შერგხოფერი. მე თქვენთან დიდი ადამიანური თხოვნა მაქვს: მაცნობეთ რაიმე ასკალიონ კოპალიანის შესახებ, რომელიც თქვენი თანასოფელია, დაიბადა 1914 წელს. სიზუსტისათვის მისი დედის გვარსაც გაცნობებთ.

თქვენთვის გასაგები რომ იყოს, რატომ მაინტერესებს იგი მე და რატომ ამაზე გწერთ, მოკლედ აღვწერ ჩვენი ნაცნობობის ისტორიას. სამწუხაროდ, იგი შედგა არა მშვიდობიან დროს, არამედ მეორე მსოფლიო ომის დროს, ყირიმში, ტყვეთა ბანაკში. მე ამ ბანაკიდან წამოვიყვანე საბჭოთა ტყვე ასკალიონ კოპალიანი, სხვადასხვა საჭირო სამუშაოთა შესასრულებლად (გათხრა, ხელსაწყოების გაწმენდა და ა. შ.) ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩვენ მალე გამოვნახეთ საერთო ენა, ურთიერთგაგება. ჩვენს შორის თანდათანობით დამყარდა ნორმალური ადამიანური დამოკიდებულება, თუმცა ომში მოწინააღმდეგენი ვიყავით; ჩვენ ვუამბობდით ერთმანეთს ჩვენი მშობლიური მხარეების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ.

ასკალიონ კოპალიანის შემწეობით მე განვიმსჭვალე ამაყი და ლამაზი ქართველი ხალხისადმი პატივისცემითა და სიმპათიით. ჩვენი საერთო სურვილი იყო ომის დამთავრების შემდეგ შევხვედროდით სადმე, მის სამშობლოში თუ ჩემთან.

ჩვენი ნაცნობობის ორი წლის შემდეგ, ბოლოს მომეცა საშუალება დავბრუნებულიყავი სახლში. ძნელი იყო ჩემთვის ასკალიონთან დაცილება, მსურდა თან წამეყვანა ავსტრიაში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, იგი ისევ გერმანელთა ტყვე იყო. მაშინ მე მას შევთავაზე—განეცხადებინა, რომ თითქოს იგი თანახმა იყო ნებაყოფლობით გადასულიყო გერმანიის მხარეზე, თუ ასკალიონი მიიღებდა ამ ვარიანტს, მე შემეძლო წამეყვანა იგი გერმანული ფორმით.

მაგრამ ასკალიონ კოპალიანმა ამაყად და გადაჭრით მიპასუხა: „არა! მე მოღალატე არა ვარ! მე არ მიღალატია და არც არასოდეს ვუღალატებ ჩემს სამშობლოს! თუ მე აქ, შენთან ვმუშაობ, ეს ჩემი სურვილით როდია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებული ვარ, როგორც ტყვე“. იგი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა ბოლომდე. მხოლოდ ერთი რამ მთხოვა. დამებრუნებინა მისი პატიოსანი სიტყვა. საქმე იმაში იყო, რომ თავიდან მას მე დედა დავაფიცე, რომ იგი ტყვეობიდან არ გაიქცეოდა, რადგან მე საშიშროება მელოდა ამის გამო (რამდენიმე თვე ჯარიმა), მე გავიგე, რომ ქართველები წმინდად ახსენებდნენ, იცავენ თავისი დედის სახელსა და ღირსებას. ამიტომ დამშვიდებული ვიყავი, რომ იგი არ გატეხდა თავის სიტყვას.

და აი, როცა ვემზადებოდი სახლში გასამგზავრებლად, ასკალიონმა მთხოვა გამენთავისუფლებინა იგი დათქმული აღთქმისაგან. მე სულით-ხორცამდე შემძრა ამაყი ქართველის სიწმინდემ, მისმა სისპეტაკემ. თუ იგი გაიქცეოდა ტყვეობიდან, როცა მე უკვე სახლში, ავსტრიაში ვიქნებოდი, ეს ჩემთვის უკვე საშიშროებას არ წარმოადგენდა, სასჯელიც ამცდებოდა, ასკალიონი ისეთი პრინციპული, ამაყი და მართალი კაცი იყო, რომ მას არ სურდა ჩემთან ყოფნისას სიტყვა გაეტეხა, გაქცეულიყო, ჩემთვის ზიანი მოეტანა. ამიტომაც თავისი ამაყი სულით, პატრიოტული მისწრაფებით ასკალიონ კოპალიანი კიდევ უფრო ახლოს განეწყო ჩემთან, განმტკიცდა ჩვენი ნდობა ერთმანეთისადმი, ამის საიმედო დასტური იყო ის, რომ მე უკვე ვიცოდი მისი ურყევი გადაწყვეტილება, შესაფერის მომენტში გაიქცეოდა ტყვეობიდან, დაბრუნდებოდა თავის არმიაში. მე არა მარტო გავათავისუფლე იგი თავისი მოცემული წმინდა სიტყვისაგან, არამედ რამდენადაც შემეძლო, დავეხმარე კიდეც თავისი შთანაფიქრის განხორციელებაში. ეს იყო 1944 წლის მარტში პოლონეთში, ტიზენიტცა-სტანისლაურში.

ავსტრიაში ჩემი გამგზავრების წინ ერთმანეთს გავუცვალეთ მისამართები, პირობა დავდეთ, რომ ომის შემდეგ წერილები მიგვწერა და შევხვედროდით. მაგრამ უდიდესი მწუხარებით აღვნიშნავ, რომ შემდგომში ასკალიონის შესახებ არაფერი მსმენია... რა მოხდა? რატომ მან ერთხელაც არაფერი მაცნობა, იქნებ დაკარგა ჩემი მისამართი? ან იქნებ გაქცევის შემდეგ თავს ვერ გაუფრთხილდა?... აი, უკვე 38 წელია ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევენ, ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე არ ძალმიძს დავივიწყო ეს ქართველი ადამიანი, რომლის გავლენით ბევრად შეიცვალა ჩემი შეხედულებები!

1969 წლის 2 აპრილს წერილი მივწერე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი ვერ მივიღე.

პატივცემულო ამხანაგებო, ბატონებო და ქალბატონებო! კვლავაც მოგმართავთ თქვენ, მაქვს თქვენი ადამიანობისა და კეთილშობილების იმედი: გამოეხმაუროთ მოხუცი ადამიანის თხოვნას, რომლის სინდისი წმინდაა ღვთისა და საბჭოთა ადამიანების წინაშე, თუმცა იძულებული ვიყავი ომში მონაწილეობა მიმეღო გერმანიის მხარეზე. თქვენთვის ძნელია დაიჯეროთ ეს, მაგრამ ვფიცავ, ეს ასე იყო.

თუ ასკალიონ კოპალიანი ცოცხალია, მინდა ეს დავიჯერო, გადაეცით მას ჩემი წერილი და თხოვნა, რომ მაცნობოს თავის შესახებ. მისი ამბის გაგება ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება.

თუ ეს შესანიშნავი ადამიანი ამ ქვეყნად აღარ არის... მომწერეთ, გეთაყვა, ან ახლობელთაგან ვინმემ მაცნობოს—როდის წავიდა იგი ამ ქვეყნიდან, ომში თუ ომის შემდეგ? რა ბედი ეწია მას?

არა! იგი ცოცხალია! მან უნდა იცოცხლოს!

აკი, კავკასიელები დიდხანს ცოცხლობენ, იგი ხომ მხოლოდ 68 წლისაა! დიდად ვწუხვარ, რომ მის შესახებ არაფერი ვიცი...

წინასწარ გიხდით გულითად მადლობას და იმედს გამოვთქვამ, რომ მივიღებ ცნობებს ჩემთან დაახლოებული ქართველი ადამიანის, საქართველოს სსრ მცხოვრების, ცაგერის რაიონის სოფელ ზარაგულას მკვიდრის, 1914 წელს დაბადებული ასკალიონ მოსეს ძე კოპალიანის შესახებ. ანტონ შერგხოფერი“.

დამეთანხმები, უთუოდ, ფრიად საგულისხმო, დასამახსოვრებელი წერილია ავსტრიელი ადამიანის მიერ; მოხუცებულობის ქამს დაფიქრებითა და განცდით დაწერილი, ჩვენი თანამემამულის ასკალიონ კოპალიანის მშობლიურ სოფელში გამოგზავნილი (სამწუხაროდ, ესეც უპასუხოდ დარჩენილა...), დააკვირდით, მეგობარო, ბარათში გულით ნათქვამს, მასში მოთხრობილ ამბებს, ამ უცნობი პიროვნების სულის ღაღადს, მისი გულის ხმას, რამდენი რამეა მასში ნამბობი, რა ჰეშმარიტ ქართველზე მოგვითხრობს ის (ვინ იცის, თავად ავტორმა რამდენ თანამემამულეს მოუყვა, გაუმჟღავნა ქართველი კაცის შესახებ თავისი განცდილი და ნაზრევი), თავისი სიყვარულითა და პატივმიგებით გამოგზავნილ წერილში.

თავისებურია, საამაყოც ძნელბედობის ქამს, მკაცრი სულიერი და ფიზიკური გამოცდისას, ბარათში წარმოდგენილი ქართველი ჯარისკაცის პორტრეტი, მისი სულის ტალღა... ტაკე, ზნეობრივი სილამაზე, უცხო ადამიანის თვალით დახატული, მისი გონებით აღქმული და წერილში წარმოჩენილი ქართველი ახალგაზრდის სულიერი სამყარო, მისი გულის წადილი, მისწრაფება, უანგარო ერთგულება მშობლისა და მამულისა!...

რამდენი რამ გვინახავს, გვსმენია ცხოვრებაში, ომში თუ აღმშენებლობისას, რა არ წაგვიკითხავს ჩვენს თანამემამულეებზე, თანაპოლკელებზე, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ასეთი არა გვსმენია რა, არ გავცნობილვართ წარსულ ომის მატიანეში, ისიც უცხო ერის შვილის მიერ, ასე გულით, დარწმუნებით ნათქვამსა და გამჟღავნებულს! ამიტომაც იგი უთუოდ ადამიანური ღირსების ამსახველი დოკუმენტია ქართველი კაცის მაღალ სულიერ თავისებურებებზე, მის მამულიშვილობაზე მეტყველი. ამასთან იგი გვამცნობს თავად წერილის ავტორის კეთილსინდისიერებას, კეთილშობილებასა და კაცთმოყვარეობას, ადამიანის სულის ამოცნობის, უტეხი ქართველის ტრაგიკული ბედით, მისი უკვდავების რწმენით დაიმედებულ პიროვნულ ღირსებებს...

პატივცემულო ამხანაგო! დამეთანხმებით, რომ უთუოდ, სრულად უნდა ითქვას და დაიწეროს ჩვენი თანამემამულის შესახებაც. ამისათვის ბევრი რამეა გასარკვევი. ჯერჯერობით ვიცი, რომ ასკალიონ მოსეს ძე კოპალიანი დაიბადა 1914 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ზარაგულაში. ყოლია დედა და ოთხი ძმა: სერგო, კაკო, ასტარი და ეგნატე. ყველა სამამულო ომის მონაწილე ყოფილა. ამჟამად ცაგერში ცხოვრობს ასტარის დაოჯახებული ქალ-ვაჟი — გულნარა და ზაური, და სერგოს შვილები —გურამი და ნათელა...

მოდით, ბოლომდე გავარკვიოთ, მაინც ვინ იყო ასკალიონ კოპალიანი? იქნებ თქვენც იცნობდით მას. გინახავთ ომის წინ, ომში, 1942 წელს ყირიმის ფრონტზე მებრძოლი, იქნებ მასთან ერთად გიბრძოლიათ, ფრონტიდან მისი „სამკუთხა ბარათებიც“ მიგიღიათ, ან ჯარისკაცის ფორმით მისი ფოტო შემოგრჩათ, იქნებ ერთად მოხვედით „ტყვეთა ბანაკში“ და ბოლოს 1944 წლის მარტში, პოლონეთში, ტიზენიტცა-სტანისლაურთან შეხვედრიხართ ან მოქმედ პარტიზანებთან ყოფილხართ, ვინ იცის სად ჰპოვა მან საბოლოო სასუფეველი?

უთუოდ ღირს ასკალიონ კოპალიანის გახსენება, დოკუმენტებითა და მოგონებებით მისი გაცნობა, ამ სულითა და ხორცით ქართველის არდაფიწყება. დედისა და სამშობლოს მოსიყვარულე, მათი ბოლომდე ერთგული შვილის წარმოჩენა ხალხის წინაშე.

ნუ დაიზარებთ, მოიძიეთ ასკალიონ კოპალიანზე უცნობი, საინტერესო მასალები, სხვებსაც შეახსენეთ, იქნებ მათაც შემორჩათ ამ კაიყმის შესახებ საინტერესო ცნობები და მოგონებები...

ველით, მეგობრებო, თქვენს წერილებსა და გამოხმაურებებს.

პეტრე შამათავა,

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“

ტრაგედია პამირის მთებში

13 ივლისს, 18 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით ლენინის პიკზე მიწისძვრისა და ფერდობიდან დიდი ზვავის ჩამოწოლის შედეგად წაილეკა ბანაკი 5300 მეტრ სიმაღლეზე. ამის შედეგად დაახლოებით 43 კაცი აღმოჩნდა ყინულვარდნილზე და დაიღუპა. დაღუპულთა შორისაა ლენინგრადის თითქმის მთელი ნაკრები—ტროშჩინენკოს გუნდი, 5 კაცი საერთაშორისო ბანაკ „ნავრუზიდან", დანარჩენები სხვა გუნდებიდან არიან. მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები. მუშაობს 30-ზე მეტი კაცი".

ასეთი დეპეშა მოვიდა 16 ივლისს სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციაში. სამაშველო სამუშაოებზე მაშინათვე გაგზავნეს ადამიანები მოსკვინის მყინვარისა და აგარა აჩოკტაშის რაიონებიდან. ტრაგედიის რაიონში გაფრინდნენ მოსკოველი სპეციალისტებიც. აი, რა უთხრა საკავშირო კორესპოდენტს სსრ კავშირის სახელმწიფო მრწვთნელმა ალპინიზმში ვლადიმერ შატაევმა:

—ასეთი ტრაგედია ჯერ არ მომხდარა საბჭოთა და როგორც ვფიქრობ მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ბანაკის ადგილი, რომელსაც მთამსვლელები „ტაფას" უწოდებენ, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან გამოიყენება ლენინის პიკზე ასვლისას. 1974 წლიდან ამ ადგილზე პრაქტიკულად ყოველთვის ეწყობოდა ხოლმე ბანაკები, ზოგჯერ 100 და მეტი კაცისათვის. ასე რომ, ასეთი რამ ყველასათვის მოულოდნელი იყო. დიდთოვლობა აძნელებს სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობას: დღემდე ვერ მოუხერხებიათ დაღუპულთა გვამების აღმოჩენა. სულ, როგორც ვფიქრობთ, ზვავმა იმსხვერპლა 40 კაცი—23 ლენინგრადიდან, 3 დუშამბედან, 1 ჩიმკენტიდან, 4 ისრაელიდან, 6—ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან, 2 შვეიცარიიდან და 1 ესპანეთიდან. როგორც ჩანს, დანარჩენმა სამმა მოასწრო გადარჩენა, რადგან ზვავის ჩამოწოლის მომენტისათვის მათ დაშვება დაიწყეს...

„ვან"-ის მეთოდით

ბერძენმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მიწისძვრის წინასწარმეტყველების ეფექტიანი მეთოდი.

საქმე ეხება „ვან"-ის მეთოდს—მიწისძვრის წინასწარმეტყველების სისტემას, რომელსაც ეს სახელი ეწოდა სამი ბერძენი მეცნიერის გვარის მიხედვით: პანაიოტის ვარცოსის, კესარი ალექსოპულოსისა და კოსტოსა ნომიკოსის. იგი ემყარება დედამიწის ელექტრონული იმპულსების რეგისტრაციას და შესაძლებლობას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ მიწისქვეშა ბიძგები 10 საათიდან 10 დღით ადრე მანამ, სანამ ისინი მოხდებოდეს. ამასთან, ამ თეორიის წარმატების ალბათობა დაახლოებით 75 პროცენტს შეადგენს.



კინო-ფილმის მოლოდინში.

ზ. გზოგბავას ფოტოეტიუდი.

გმადლობთ სიცოცხლისათვის

ორი კვირის განმავლობაში მძიმე ავადმყოფი გვეწვინა ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში. როგორც ჩანს, საავადმყოფოს ექიმებმა სწორად ვერ დასვეს დიაგნოზი და მკურნალობამ ავადმყოფობის გართულება გამოიწვია. მდგომარეობა უიმედო იყო და ავადმყოფი სახლში გადმოვიყვანეთ. იმ დღესვე გამოვიძახეთ თერაპევტი, რომელმაც ავადმყოფს დიაგნოზი დაუსვა, მკურნალობის სრულიად განსხვავებული კურსი დაუნიშნა. მოხდა თითქმის წარმოუდგენელი—მომაკვდავი თანდათან გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან და მალე წამოდგომა და სიარულიც კი შეძლო. ასე გადაარჩინა ექიმმა ლია გუგავამ ადამიანის სიცოცხლე. მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ლიას უაღრესი გულისხმიერებისა და სიკეთისათვის და მასთან ერთად ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში უფრო დიდი მიღწევები ვუსურვოთ ცაგერის რაიონული საავადმყოფოს მთელ კოლექტივს, რაიონული აფთიაქის ხელმძღვანელებს, რომლებიც დაგვეხმარენ დეფიციტური პრეპარატებით.

გმადლობთ სიცოცხლის გადარჩენისათვის.

გრიგოლ კვირკაშვილი
სოფ ჩხუტელი.

ჩვენი სიგნალის შედეგად

წყლის გამტარი მილები, რომლითაც წყალი ჩაედინება კეშნარის ღელის მარეგულირებელ არხში. მოედანზე სისტემატურად დგას გუბეები და აბინძურებს არეშარეს, გაძნელებულია ფეხით სიარული, ავტომანქანებს სიბინძურე შეაქვს. სასურსათო კომბინატისა და პურსაცხობის ეზოებში.

კრიტიკა გულთან მიიტანა ცაგერის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობამ და ამ საწარმოსთან არსებული სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი კოოპერატივის მეშვეობით მოედნის ორივე მხარეს მოაწყვეს სანიაღვრე არხები, ლ. ასათიანის ქუჩის საფარქვეშ ჩააწყვეს

პირველი საქმე გაკეთდა

ჩვენი გაზეთის მიერ მხილებული იყო, რომ სასურსათო კომბინატისა და ქალაქის ცენტრალური პურსაცხობის წინმოგბარი მილენიუმ ... ნის ორმოები ამოავსეს, მთელი ტერიტორია აამაღლეს და მოამზადეს შავი საფარის დაგებისათვის. ეს სამუშაოც ამ თვიგში დასრულდება.

კომუნალურ საწარმოთა კომბინატმა კარგი საქმე გააკეთა. მოსპო ქალაქის ცენტრში არსებული ანტისანიტარიის ერთი კერა და პირობები შეუქმნა სასურსათო კომბინატს და ქალაქის პურსაცხობს სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარებისათვის. ამ ტერიტორიის კეთილმოწყობამ ლამაზი იერსახე მისცა აგრეთვე ლ. ასათიანის ქუჩას.

გაკეთებული მისასალმებელია და კარგი იქნება ქალაქის იერსახის გამშვენიერებისათვის კვლავ თუ ასე გააგრძელებენ მუშაობას.

ბილოცავთ

მერი, ტარიელ გუგავეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს კარგი ფაეკაცი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ნინა, ბაბუცა, რუსუდან, კოლია ჯაფარიძეები.

ბორის გოლეთიანი, შოთა კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ საღინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის 1985 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ რუსუდან ახვლედიანს და თინათინ მეშველიანს ძმისა და ბიძის

რეზო ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ზაურ, გივი, რომან ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო (ხუტუნა) დავითის ძე ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ალპანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა ახვლედიანს ძმის

იუსტინე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ნათელა, რუსუდან, თამრიკო, შალვა, თემურ ცვარიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო დავითის ძე ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ლევან ჩიქოვანი, კოსტა ღურჭუმალიძე, შოთა, საშა ჩაკვეტაძეები, შიო ახვლედიანი, ტარიელ საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ახვლედიანი

წიფერჩის სასოფლო საბჭოს აპარატის, კავშირგაბმულობის განყოფილების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები თანაუგრძნობენ ნანული მეშველიანს და ლილი დავითულიანს დედისა და დეიდის

ანიჩკა მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები რომან მანდარია, ვილგემ კოპალიანი, ზურაბ კუხალაშვილი, ნოდარ ცვარიანი, არჩილ ჩაკვეტაძე, მიშა ბერიძე, მურთაზ ჭელიძე, ნორა ჩაკვეტაძე, ვალიკო გაგელიძე, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ვალოდია ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო დავითის ძე ახვლედიანი

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ აკაკი საღინაძეს მამის

ვასილ ლავრენტის ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ჯემალი, ჯაბო, ბესარიონ დავითულიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანიჩკა მეშველიანი.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს რუსუდან ახვლედიანს ძმის

რეზო დავითის ძე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ლაზარე, ლეო, ავთანდილ, მათიკო, თამაზ ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო დავითის ძე ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

უახლოესი მეზობლები ბადრი, ოთარ, დავით, გივი, ნოდარ, გრიგოლ საღინაძეები, დადაში, ზაური, ტარზანი, ლიდა, ჯუმბერ, ვახტანგ კოპალიანები, გრიშა, ალიოშა კილასონიები, ბიკენტი მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ ლავრენტის ძე საღინაძე

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნისა—22-37
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66589, შეკვეთა №: ტირაჟი 4000

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.